

სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“

სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის
საჭიროებისათვის საოფისე მანქანა–დანადგარების, აღჭურვილობისა
და საკანცელარიო ნივთების, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა
(CPV კოდი -30100000) სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბათუმი

2016 წელი

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტი, მიწოდების ვადები და პირობები:

2.1.1 შესყიდვის ობიექტია – საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა (CPV კოდი-30100000) მიწოდება შემსყიდველისათვის.

2.1.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა **4 500** (ოთხიათასხუთასი) ლარი.

2.1.3. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი)** კალენდარული დღის განმავლობაში, მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1-ში.

2.2. ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2.2. ანგარიშსწორება მოხდება საქონელის მიწოდების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ფორმით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.2.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.2.4. დაფინანსების წყაროა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

2.3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.3.1 ფასების ცხრილი **დანართი №1**-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3.2. პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს შევსებული რეკვიზიტებისა და სატენდერო წინადადების ღირებულება **დანართი №2**-ის მიხედვით;

(გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი ფასების ცხრილი (პირველი შემოთავაზების შემდეგ ფასის შეცვლის შემთხვევაში).

2.4. ტექნიკური დავალება

№	დასახელება	მასასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	მოწოდების ვადა
1	2	3	4	5	6
1	საწერი კალამი	ლურჯი მელნით, გამჭვირვალე კორპუსით, ხელის მოსაკიდებელი სპეციალური რეზინით, პლასტმასის გამჭვირვალე სახურავით	ცალი	50	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში
2	საწერი კალამი	შავი მელნით, გამჭვირვალე კორპუსით, ხელის მოსაკიდებელი სპეციალური რეზინით, პლასტმასის გამჭვირვალე სახურავით	ცალი	20	
3	საწერი კალამი	მეტალის კორპუსით, მაღალი ხარისხის, ლილაკით, წვერი 0,4-0,7 მმ, ბურთულიანი, მექანიკური (ფერი მოთხოვნის შესაბამისად)	ცალი	20	
4	კონვერტი A-4	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	300	
5	კონვერტი A-5	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	400	
6	კონვერტი A-6	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	300	
7	მელანი	ბეჭდის, ლურჯი (მინიმუმ 30 მლ)	ცალი	3	
8	ბეჭდის ბალიში	135x85მმ. ლურჯი	ცალი	3	
9	ქაღალდის დამჭერი (კლიფსი) 25 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150	
10	ქაღალდის დამჭერი (კლიფსი) 32 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150	
11	ქაღალდის დამჭერი (კლიფსი) 41 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150	
12	ქაღალდის დამჭერი (კლიფსი) 51 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150	
13	მუყაოს საქაღალდე	A4 ფორმატის, ბაფთით	ცალი	250	
14	ქაღალდი	გრამაჟი (გრ/მ2) 78-84, სისქე (UM) 104-110, სითეთრე CIE 148-167; გაუმჭირვალობა მინიმუმ 94%, სიკაშკაშე 98-104%, უნდა აკმაყოფილებდეს ISO 9001 სერთიფიკატის მოთხოვნებს, ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისთვის, ჭავლური პრინტერებისთვის, ასლგადამღები აპარატებისთვის და ორმხრივი ბეჭდვისთვის, უმაღლესი ხარისხის, შეკვრაში უნდა იყოს არანაკლებ 500 ცალი A4 ფორმატის	შეკვრა	220	

15	ქალაქი	A3 ფორმატის, შეფუთვაში არანაკლებ 500 უნდა აკმაყოფილებდეს ISO 9001 სერტიფიკატის მოთხოვნებს, უნდა ახასიათებდეს ტირაჟირების კარგი უნარი, ბეჭდვის სიმკვეთრე, შესანისნავი სიგლუვე, ნათელი ზედაპირი, მაღალი გაუმჭირვალობა ორმხრივი ბეჭდვის დროს	შეკვრა	5
16	საბეჭდი ქალაქი "ალექსანდროვის ტიპის"	A1 ფორმატის, თეთრი	ცალი	200
17	2017 წლის კალენდარი	საოფისე, სამ განყოფილებიანი, კედლის	ცალი	30
18	2017 წლის კალენდარი	მაგიდის	ცალი	10

3. დამატებითი ინფორმაცია

3.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N1. საკონტაქტო პირები: რამაზ შველიძე ტელ: 599 09-04-95, ნანა დავითაძე ტელ: 599 09-04-87.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქალაქი ბათუმი

2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“ მისი დირექტორის (შემდგომში „შემსყიდველი“), -----სახით და მეორე მხრივ „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA....) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
- 1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული „ტექნიკური დავალება“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.8. „ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ფასის და მიწოდების ვადის შესახებ“- მიმწოდებლის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ფასის და მიწოდების ვადის შესახებ“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საოფისე მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა (CPV კოდი-30100000);

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასის და მიწოდების ვადის შესახებ.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ——— () ლარს.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასების ცხრილით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2016 წლის დეკემბრამდე, ეტაპობრივად, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი)** კალენდარული დღის ვადაში.

4.2. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქ. №1.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობა და წუნდების მიზეზი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან ტექნიკური მახასიათებლებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ ვადაში ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

7.3. 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7.4. მიმწოდებელი იძლევა მიწოდებულ საქონელზე არანაკლებ 5 წლიან გარანტიას ულიმიტო გარბენით. (ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს აღნიშნული წუნის აღმოფხვრა).

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელს მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1. მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

15.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

15.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არაუმეტეს 2 თვით, შემსყიდველის მითითებით უზრუნველყოს საქონლის შენახვა უსფრთხო პირობებში და მისი შემდგომი მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილას.

15.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.6. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება

ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ინფორმაცია ფასისა და მიწოდების ვადების შესახებ

ფასების ცხრილი

№	დასახელება	მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდ-ბა	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	2	3	4	5	6	7
1	საწერი კალამი	ლურჯი მელნით, გამჭვირვალე კორპუსით, ხელის მოსაკიდებელი სპეციალური რეზინით, პლასტმასის გამჭვირვალე სახურავით	ცალი	100		
2	საწერი კალამი	შავი მელნით, გამჭვირვალე კორპუსით, ხელის მოსაკიდებელი სპეციალური რეზინით, პლასტმასის გამჭვირვალე სახურავით	ცალი	20		
3	საწერი კალამი	მეტალის კორპუსით, მაღალი ხარისხის, ღილაკით, წვერი 0,4-0,7 მმ, ბურთულიანი, მექანიკური, ლურჯი მელნით	ცალი	30		
4	კონვერტი A-4	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	300		
5	კონვერტი A-5	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	400		
6	კონვერტი A-6	თეთრი ან სპილოს ძვლის ფერის, ქაღალდის	ცალი	300		
7	მელანი	ბეჭდის, ლურჯი, მინიმუმ 30 მლ	ცალი	3		
8	ბეჭდის ბალიში	135x85მმ. ლურჯი	ცალი	3		
9	ქაღალდის დამჭერი (კლიპსი) 25 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150		
10	ქაღალდის დამჭერი (კლიპსი) 32 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150		
11	ქაღალდის დამჭერი (კლიპსი) 41 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150		
12	ქაღალდის დამჭერი (კლიპსი) 51 მმ	ლითონის, ფერი შავი	ცალი	150		
13	მუყაოს საქაღალდე	A4 ფორმატის, ბაფთით	ცალი	250		

14	ქაღალდი	გრამაჟი (გრ/მ2) 78-84, სისქე (UM) 104-110, სითეთრე CIE 148-167; გაუმჭირვალობა მინიმუმ 94%, სიკაშკაშე 98-104%, უნდა აკმაყოფილებდეს ISO 9001 სერტიფიკატის მოთხოვნებს, ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისთვის, ჭავლური პრინტერებისთვის, ასლგადამღები აპარატებისთვის და ორმხრივი ბეჭდვისთვის, უმაღლესი ხარისხის, შეკვრაში უნდა იყოს არანაკლებ 500 ცალი A4 ფორმატის	შეკვრა	220		
15	ქაღალდი	A3 ფორმატის, შეფუთვაში არანაკლებ 500 უნდა აკმაყოფილებდეს ISO 9001 სერტიფიკატის მოთხოვნებს, უნდა ახასიათებდეს ტირაჟირების კარგი უნარი, ბეჭდვის სიმკვეთრე, შესანისნავი სიგლუვე, ნათელი ზედაპირი, მაღალი გაუმჭირვალობა ორმხრივი ბეჭდვის დროს	შეკვრა	5		
16	საბეჭდი ქაღალდი "ალექსანდროვის ტიპის"	A1 ფორმატის, თეთრი	ცალი	200		
17	2017 წლის კალენდარი	საოფისე, სამ განყოფილებიანი, კედლის	ცალი	30		
18	2017 წლის კალენდარი	მაგიდის	ცალი	10		
სულ ჯამი						0,00

ღირებულება ციფრებით და სიტყვიერად:-----

შენიშვნა: ფასები მოცემულია ლარში, ყველა გადასახდელის ჩათვლით (ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და ტრანსპორტირების ხარჯები).

პრეტენდენტის -----

(ხელმოწერა, ბეჭედი)

„-----“ ----- 2016 წელი

პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ი ს რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

1. რეკვიზიტები:

სამართლებრივი ფორმა:

საფირმო სახელწოდება:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

მომსახურე ბანკის მფო:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
(სახელი და გვარი)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის
მობილური ტელეფონის ნომერი:

პრეტენდენტი -----

(ხელმოწერა, ბეჭედი)

„-----“ ----- 2016 წელი